საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/244
24/01/2024

244-01-2-202401241122

"Room Shop (რუმ შიპ)"-ის წარმომადგენელს

ანარ ასლანოვს (პ/ნ 01853005577)

მის: ქ.თბილისი, ლილოს დასახლება, მე-2 კვარტალი,

კორპუსი N3, ბინა N24

ელ-ფოსტა: aslanov99@internet.ru

ბატონო ანარ,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 დეკემბრის №04/935 ბრძანებით, „მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე" სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ფიზიკური პირის ანარ ასლანოვის (პ/ნ 01853005577) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2023 წლის 11 დეკემბრის №04/935 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში **ჩართო მოქალაქე** [redacted] (პ/ნ [redacted]) 2024 წლის 22 იანვრის №01/326 განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე **5 (ხუთი) სამუშაო** დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
+995 598 05 44 22
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

პოზიცია **მოქალაქე** (პ/ნ) 2024 წლის 22 იანვრის №01/326 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ბ[1]“ ქვეპუნქტებისა და კანონის 34-ე მუხლის 4[1] პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ამ ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მოვაჭრის მიერ იმავე ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობაა 1 000 ლარი.

ამასთან გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და პროცედურის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართი: „19“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/935
11.12.2023

ბრძანება

935-01-4-202312111733

მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე [redacted] (პ/ნ [redacted]) 2023 წლის 24 ნოემბრის №01/3995 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა ფიზიკური პირის ანარ ასლანოვის (პ/ნ 01853005577) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 11 დეკემბრის №03/1062 მოხსენებითი ბარათი.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი